

ქ.თბილისი

2019 წლის 28 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2019 წლის 28 მარტს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, აკაკი კერესელიძე, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის გ. ჯალალონიას ოქმი, მთავარი მსაჯის შ. თევზაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და ვიდეომასალა, ამა წლის 23 მარტს, დიდი 10-ს მატჩზე, მარნეულის „არმაზი“-სა და რუსთავის „ხარები“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.


გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. მარნეულის „არმაზი“-ს მორაგბე ბესო ბარბაქაძე, უხეში თამაშისათვის (იდაყვით კონტაქტი სახის არეში), გაძევებული იქნა მოედნიდან წითელი ბარათით მსაჯის მიერ.

გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. სრკ-ს საშეჯიბრო დებულების მე-5 მუხლის 291 პუნქტის გათვალისწინებით, რომლის თანახმად წითელი ბარათის მიმღები მოთმაშე ავტომატურად ტოვებს 1 (ერთი) სათამაშო კვირას, სრკ-ს სადისციპლინო კომისიამ მარნეულის „არმაზი“-ს მორაგბეს ბ. ბარბაქაძეს არ დააკისრა სრკ-ს სადისციპლინო კოდექსით გათვალისწინებული სხვა რაიმე დამატებითი სასჯელი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/